საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2593 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 აგვისტოს №1468 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 აგვისტოს №1468 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2017-2018 წლებში მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არა უმეტეს 3 111 000 (სამი მილიონ ას თერთმეტი ათასი) ლარისა, კერძოდ:

ა) ონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 51 000 (ორმოცდათერთმეტი ათასი) ლარისა;

ბ) გურჯაანის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 722 000 (შვიდას ოცდაორი ათასი) ლარისა;

გ) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 645 000 (ექვსას ორმოცდახუთი ათასი) ლარისა;

დ) სიღნაღის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 563 000 (ხუთას სამოცდასამი ათასი) ლარისა;

ე) სამტრედიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 430 000 (ოთხას ოცდაათი ათასი) ლარისა;

ვ) საჩხერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარისა;

ზ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 200 000 (ორასი ათასი) ლარისა;

თ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 200 000 (ორასი ათასი) ლარისა.“.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**